განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება

ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
06/06/2018

დასკვნის წარდგენის თარიღი: 25/07/2018

თბილისი
2018

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	**შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	**229275405**
დაწესებულების სახე	**უნივერსიტეტი**

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	**ფინანსები**
განათლების საფეხური	**ბაკალავრიატი**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	**ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ფინანსებში - 0204**
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული, პროგრამა აკრედიტებულია 09/12/2011, №445 გადაწყვეტილებით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ვასილ კიკუტაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარინა ჩავლეიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ირაკლი გაბრიაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ფინანსების საბაკალავრო პროგრამის მიზანია სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებით, ბიზნესის და ფინანსების თეორიული და პრაქტიკული ასპექტების საფუძვლიანი ცოდნის, პრაქტიკული უნარებისა და ზოგადი კომპეტენციების მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც შეძლებენ ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ბიზნესის სხვადასხვა სექტორის საქმიანობის განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს დასაქმების შესაძლებლობას სახელმწიფო, კერძო და არასამთავრობო სექტორებში. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული 240 კრედიტი განაწილებულია ოთხი აკადემიური წლის, რვა სემესტრის განმავლობაში. თითოეულ სემესტრში სტუდენტის მიერ ასაღები კრედიტების მოცულობაა 30 კრედიტი. პროგრამის ფარგლებში, პროგრამით გათვალისწინებული 240 კრედიტიდან სტუდენტს აქვს შესაძლებლობა 65 კრედიტის ფარგლებში აირჩიოს უნივერსიტეტში მოქმედი ნებისმიერი დამატებითი პროგრამა (60 კრედიტი) და/ან აითვისოს თავისუფალი კრედიტების სახით, რომლის ფარგლებშიც იგი უფლებამოსილია აირჩიოს მისთვის სასურველი სასწავლო კურს(ებ)ი უნივერსიტეტში მოქმედი ნებისმიერი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამიდან. კრედიტების დაანგარიშების საფუძვლად აღებულია კრედიტების ტრანსფერის ევროპული სისტემა (ECTS). ოთხი სემესტრის განმავლობაში სტუდენტები სწავლობენ ბიზნესის ადმინისტრირების საბაზო კურსებს, ხოლო სწავლების მეხუთე სემესტრიდან სტუდენტები სწავლობენ ფინანსების დარგის სასწავლო კურსებს. საბაკალავრო საგანმანათლებო პროგრამაზე სტუდენტის ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით - ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. პროგრამით გათვალისწინეული სასწავლო კომპონენტების განხორციელება ხდება სწავლა/სწავლების შემდეგი მეთოდების გამოყენებით: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული/ლაბორატორიული მუშაობა, სემინარი, დამოუკიდებელი მუშაობა, პროექტი, პრეზენტაცია (სტუდენტის / სტუდენტების მიერ) და ა.შ. სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება ზეპირი და/ან წერილობითი ფორმით. სასწავლო კურსის/კომპონენტის მაქსიმალური შეფასება არის 100 ქულა, რომელიც ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებას. შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ აღემატება დასკვნითი შეფასების 60%-ს. შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულობრივი განაწილება, მათი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და შეფასების რუბრიკები გაწერილია შესაბამისი კომპონენტის სილაბუსში. პროგრამას ჰყავს სტუდენტები და კურსდამთავრებულები, რომელთა უმრავლესობა დასაქმებულია პროფილის მიხედვით. პროგრამა გადის განმეორებით აკრედიტაციას.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში აკრედიტაციის ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2018 წლის 6 ივნისს. ვიზიტი წარიმართა მშვიდ აკადემიურ გარემოში, შედგა შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით დაგეგმილი ყველა შეხვედრა, კერძოდ, ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, ფაკულტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, პროგრამის სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს და პოტენციურ დამსაქმებლებს. ადგილზე მოხდა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ვიზუალური დათვალიერება, გადამოწმდა სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის არსებობა, ელექტრონულ ბაზებთან ხელმისაწვდომობა და სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციის მასალები. ვიზიტის პროცესში გადამოწმდა სასწავლო ელექტრონული პორტალი

ფუნციონალური სერვისების მიხედვით. ვიზიტის დასასრულს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა გააცნო პროგრამის შესახებ მოცემულ ეტაპზე ჩამოყალიბებული ძირითადი მოსაზრებები, რაც ადექვატურად იქნა აღქმული უნივერსიტეტისა და უშუალოდ, პროგრამის ადმინისტრაციის მიერ.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითა და არსებული წესის გათვალისწინებით დადგინდა, რომ პირველი სტანდარტის 1.1 კომპონენტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, 1.2 და 1.3. კომპონენტები ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო 1.4 და 1.5 კომპონენტები შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, შესაბამისად პირველი სტანდარტი ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, მესამე და მეხუთე სტანდარტები შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, ხოლო მეოთხე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ვინაიდან 4.2 კომპონენტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. პროგრამას ყავს სტუდენტები და კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებულები, უნივერსიტეტი ფლობს სათანადო ინფრასტრუქტურას, გააჩნია კარგი საერთაშორისო ურთიერთობები, რაც საბოლოო ჯამში ხელს უწყობს პროგრამის განხორციელებას.

- **რეკომენდაციები**

1. პროგრამის მიზნების სრულად მიღწევისათვის რეკომენდებულია 1.2 და 1.3 კომპონენტებში ჩამოყალიბებული რეკომენდაციების შესრულება;
2. რეკომენდებულია პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსების ,,მათემატიკა 1“ და ,,მათემატიკა 2“ მიზნები და სწავლის შედეგები გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან და დაკონკრეტდეს ცალკეული სასწავლო კურსის შინაარსიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე;
3. რეკომენდებულია სასწავლო კურსებში ,,მენეჯერული ფინანსები 1“ და „მენეჯერული ფინანსები 2“ დაკონკრეტდეს თუ როგორ იძენს სტუდენტი მოცემული კურსების გავლის შემდეგ ჯგუფური გადაწყვეტილებების შემუშავებაში მონაწილეობის უნარებს;
4. რეკომენდებულია სასწავლო კურსების სილაბუსებში: „მათემატიკა 1“, „მათემატიკა 2“, „ინფორმაციული ტექნოლოგიები“, „სტატისტიკის და ალბათობის თეორიის შესავალი“, „საჯარო ფინანსები“, „რისკების მართვის საფუძვლები“ სავალდებულო ლიტერატურაში მითითებულ ლექტორის კონსპექტს ან რიდერს თან ახლდეს წყაროს მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია, კერძოდ, გამოცემის წლები და ავტორების შესახებ ინფორმაცია;
5. რეკომენდებულია სილაბუსებში მითითებული იქნეს არა მარტო სილაბუსის ავტორები, არამედ მათი განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალიც;
6. რეკომენდებულია, პროგრამის სტრუქტურაში სავალდებულო კომპონენტებად შეთავაზებული იქნეს პრაქტიკის და საბაკალავრო ნაშრომის კომპონენტები;
7. რეკომენდებულია, დაკორექტირდეს საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში გაწერილი შეფასების წესი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის მე-№3 ბრძანების შესაბამისად ანუ შეფასებისათვის გამოყენებული იქნეს შუალედური და დასკვნითი შეფასების ფორმები;
8. რეკომენდებულია სტუდენტებისათვის არჩევითი სასწავლო კურსის სახით შეთავაზებული იქნეს პრეკალკულუსის სასწავლო კურსი, რომლითაც საჭიროების შემთხვევაში ისარგებლებენ ის სტუდენტები, რომლებსაც მისაღებ ეროვნულ გამოცდებზე მათემატიკა არ ჩაუბარებიათ ან უჭირთ მათემატიკის სწავლა;

9. ვინაიდან, პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხი ფინანსებში, შესაბამისად რეკომენდებულია, პროგრამის არჩევითი დისციპლინების ბლოკიდან სასწავლო კურსი ,,რისკების მართვის საფუძვლები“ და ,,საგადასახადო დაბეგვრის საფუძვლები“ გადავიდეს სავალდებულო დისციპლინების ბლოკში;
10. რეკომენდებულია პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსს ,,მაკროეკონომიკას“ წინაპირობად განესაზღვროს ,,მიკროეკონომიკის“ სასწავლო კურსი, ,,სტატისტიკის და ალბათობის თეორიის შესავალი“-ს სასწავლო კურსის წინაპირობად უმჯობესია იყოს ,,მათემატიკა 2“, ხოლო ბიზნეს ინგლისური I-ის წინაპირობად საჭიროა განისაზღვროს ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა;
11. რეკომენდებულია იმ სასწავლო კურსების სილაბუსებში, სადაც გამოყენებულია სააუდიტორიო საქმიანობის შეფასების 10 ქულიანი კომპონენტი, მოხდეს აღნიშნული 10 ქულის დეტალური რანჟირება, ცალკეული ქულების დონეზე;
12. რეკომენდებულია, პროგრამის მდგრადობის გაზრდის მიზნით გრძელვადიან პერიოდში გაიზარდოს პროგრამაში ჩართული პროფილური (ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების) აკადემიური პერსონალის რიცხვი;
13. რეკომენდებულია, პრაქტიკული სწავლების გაძლიერების მიზნით, პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში: „სტატისტიკის და ალბათობის თეორიის შესავალი“, „ფინანსების საფუძვლები“, „საბანკო საქმის საფუძვლები“, „ფასიანი ქაღალდების ბაზარი“ სასწავლო საათები განაწილდეს შემდეგი თანაფარდობით: 1 ლექცია, 2 სემინარი, ნაცვლად 2 ლექცია 1 სემინარი - თანაფარდობისა;

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - სასურველია, საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით, სასწავლო კურსის „საერთაშორისო ფინანსები“-ს სილაბუსში გამოყენებული სავალდებულო ლიტერატურის რაოდენობის ოპტიმიზაცია;
  - სასურველია, პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ქართულენოვანი სახელმძღვანელოების გამრავალფეროვნების მიზნით გამოყენებული იქნეს ქართულ ენაზე არსებული ცნობილი სახელმძღვანელოები მენეჯმენტის, მარკეტინგის, სტატისტიკის და ა.შ. მიმართულებებით;
  - სასურველია, დაზუსტდეს სასწავლო კურსში „ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები“-ს სილაბუსში სავალდებულო ლიტერატურად მითითებული სახელმძღვანელოს ,,ასათიანი, რ. (2010). ეკონომიკისა და ბიზნესის ლექსიკონი, გამომცემლობა „სიახლე“, თბილისი“, გამოყენების საჭიროება;
  - სასურველია, კიდევ უფრო გააქტიურდეს პროგრამის კურსდამთავრებულების და პოტენციური დამსაქმებლების პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართულობის მექანიზმები;
  - სასურველია, დაწესებულებამ გარე შეფასების მექანიზმად პროგრამების აკრედიტაცია და ავტორიზაციისა გარდა გამოიყენოს და მსგავსი პროფილის უცხოური უსდ-ის წარმომადგენლებისა და ექსპერტების შეფასების მექანიზმებიც;

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

1.1 პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მისიაა უზრუნველყოს პროფესიონალიზმზე ორიენტირებული ხარისხიანი განათლება, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს რა გამოყენებით კვლევებს, ინოვაციებს, ინტერნაციონალიზაციასა და უწყვეტ განათლებას. შზსუ ისწრაფვის ხელი შეუწყოს კულტურათაშორის დიალოგს, შეინარჩუნოს ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი და წვლილი შეიტანოს სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიის განვითარებაში. ხოლო, ფინანსების საბაკალავრო პროგრამის მიზანია სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებით, ბიზნესის და ფინანსების თეორიული და პრაქტიკული ასპექტების საფუძვლიანი ცოდნის, პრაქტიკული უნარებისა და ზოგადი კომპეტენციების მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც შეძლებენ ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ბიზნესის სხვადასხვა სექტორის საქმიანობის განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს დასაქმების შესაძლებლობას სახელმწიფო, კერძო, და არასამთავრობო სექტორებში; ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, ლოგიკურად და ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია. პროგრამის მიზანი ეყრდნობა შრომის ბაზრის მოთხოვნებს. თუმცა, მიგვაჩნია, რომ პროგრამის მიზნების სრულად მიღწევისათვის რეკომენდებულია 1.2 და 1.3 კომპონენტებში ჩამოყალიბებული რეკომენდაციების შესრულება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მისია; ▪ ფინანსების საბაკალავრო პროგრამა; ▪ შრომის ბაზრის კვლევის შედეგები; ▪ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ▪ https://www.ibsu.edu.ge/ - უნივერსიტეტის ვებ-გვერდი; ▪ ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, დამსაქმებელთან.
რეკომენდაციები: ▪ პროგრამის მიზნების სრულად მიღწევისათვის რეკომენდებულია 1.2 და 1.3 კომპონენტებში ჩამოყალიბებული რეკომენდაციების შესრულება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის კომპონენტის (სასწავლო კურსი, მოდული და სხვა) შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სასწავლო კურსების ყოველკვირეული შინაარსი დეტალურად, წარმოდგენილია პროგრამაში შემავალ სილაბუსებში. სასწავლო კურსების სწავლისას გამოყენებულია სწავლების ადექვატური მეთოდები, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სტუდენტზე ორიენტირებულ მეთოდებს და აქტივობებს (წიგნზე მუშაობა, დემონსტრირება, ჯგუფური მუშაობა, გონებრივი იერიში, ინდუქცია, ანალიზი, სინთეზი და სხვა). ლექცია გამოიყენება ყველა სასწავლო კურსში და ინტერაქტიულ ხასიათს ატარებს. სტუდენტთა ჩართვას უზრუნველყოფს პრაქტიკული სწავლება და სემინარები, რომლებიც ითვალისწინებენ სტუდენტების აქტიურ მონაწილეობას. ცალკეული სასწავლო კურსების კრედიტების მოცულობა და სწავლის შედეგები ეყრდნობა მთლიანი პროგრამის სწავლის შედეგებს და დაზუსტებულია კონკრეტული კურსის შინაარსიდან გამომდინარე. ხოლო ცალკეული სასწავლო კურსების მიმართ გაგვაჩნია კონკრეტული მოსაზრებები:

- პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსების ,,მათემატიკა 1“ და ,,მათემატიკა 2“ მიზნები და სწავლის შედეგები იდენტურია, რაც რეკომენდებულია გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან და დაკონკრეტდეს ცალკეული სასწავლო კურსების შინაარსიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე;
- სასწავლო კურსებში ,,მენეჯერული ფინანსები 1“ და „მენეჯერული ფინანსები 2“ ერთერთი სწავლის შედეგის სახით მითითებულია - ჯგუფური გადაწყვეტილებების შემუშავებაში მონაწილეობის მიღების უნარი, თუმცა სასწავლო კურსებში გამოყენებული სწავლებისა და შეფასების მეთოდებიდან გამომდინარე ბუნდოვანია თუ როგორ ხდება აღნიშნული შედეგის მიღწევა;
- „საერთაშორისო ფინანსები“-ს სასწავლო კურსის სილაბუსში შესასწავლი თემატიკის ათვისებისათვის ფაქტობრივად სილაბუსში მოცემული თემების შესასწავლად მითითებულია სხვადასხვა თემებზე სხვადასხვა ლიტერატურა, რაც გარკვეულწილად ეკლექტურ ხასიათს სძენს სასწავლო კურსის შინაარს;
- სასწავლო კურსების სილაბუსებში: ‘მათემატიკა 1“, „მათემატიკა 2“, „ინფორმაციული ტექნოლოგიები, სტატისტიკის და ალბათობის თეორიის შესავალი“, „საჯარო ფინანსები“, „რისკების მართვის საფუძვლები“ - სავალდებულო ლიტერატურაში მითითებულია ლექტორის კონსპექტი ან რიდერი, რომლებსაც არ ახლავს მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია, კერძოდ გამოცემის წლები და ავტორების დასახელება, შესაბამისად მიზანშეწონილია აღნიშნული დეტალების კორექტირება;
- სასურველია დაზუსტდეს სასწავლო კურსში „ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები“-ს სილაბუსში სავალდებულო ლიტერატურად მითითებული სახელმძღვანელოს ,,ასათიანი, რ.

(2010). ეკონომიკისა და ბიზნესის ლექსიკონი, გამომცემლობა „სიახლე“, თბილისი“, გამოყენების აუცილებლობა;

- სასწავლო კურსების სილაბუსებში („მენეჯერული ფინანსები 1“, „მენეჯერული ფინანსები 2“, „ფინანსური ინსტიტუტები“, „ფასიანი ქაღალდების ანალიზი“, „ევროინტეგრაცია და ფინანსური ბაზრის პრობლემები“) მითითებულია სასწავლო კურსების სილაბუსების მხოლოდ ავტორები, ხოლო მათი წაკითხვა რეალურად ხდება სხვა აკადემიური ან მოწვეული პერსონალის მიერ. შესაბამისად, რეკომენდებულია სილაბუსებში მითითებული იქნეს არა მარტო სილაბუსის ავტორები, არამედ მათი განმახორციელებელი აკადემური და მოწვეული პერსონალიც.
- რეკომენდირებულია, პრაქტიკული სწავლების გაძლიერების მიმართულებით, პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში: „სტატისტიკის და ალბათობის თეორიის შესავალი“, „ფინანსების საფუძვლები“, „საბანკო საქმის საფუძვლები“, „ფასიანი ქაღალდების ბაზარი“ სასწავლო საათები განაწილდეს სალექციო და სემინარული (პრაქტიკული) მუშაობის მიმართულებით (თანაფარდობა 1 ლექცია 2 სემინარი).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფინანსების საბაკალავრო პროგრამა;
- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;
- ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- https://www.ibsu.edu.ge/ - უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსების ,,მათემატიკა 1“ და ,,მათემატიკა 2“ მიზნები და სწავლი შედეგები გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან და დაკონკრეტდეს ცალკეული სასწავლო კურსების შინაარსიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე;
- რეკომენდებულია სასწავლო კურსებში ,,მენეჯერული ფინანსები 1“ და „მენეჯერული ფინანსები 2“ დაკონკრეტდეს როგორ იძენს სტუდენტი მოცემული კურსების გავლის შემდეგ ჯგუფური გადაწყვეტილებების შემუშავებაში მონაწილეობის უნარებს;
- რეკომენდებულია სასწავლო კურსების სილაბუსებში: „მათემატიკა 1“, „მათემატიკა 2“, „ინფორმაციული ტექნოლოგიები“, „სტატისტიკის და ალბათობის თეორიის შესავალი“, „საჯარო ფინანსები“, „რისკების მართვის საფუძვლები“ სავალდებულო ლიტერატურაში მითითებულ ლექტორის კონსპექტს ან რიდერს თან ახლდეს წყაროს მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია, კერძოდ, გამოცემის წლები და ავტორების შესახებ ინფორმაცია;
- რეკომენდებულია სილაბუსებში მითითებული იქნეს არა მარტო სილაბუსის ავტორები, არამედ მათი განმახორციელებელი აკადემური და მოწვეული პერსონალიც;
- რეკომენდებულია, პრაქტიკული სწავლების გაძლიერების მიზნით, პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში: „სტატისტიკის და ალბათობის თეორიის შესავალი“, „ფინანსების საფუძვლები“, „საბანკო საქმის საფუძვლები“, „ფასიანი ქაღალდების ბაზარი“ სასწავლო საათები განაწილდეს შემდეგი თანაფარდობით: 1 ლექცია, 2 სემინარი, ნაცვლად 2 ლექცია 1 სემინარი - თანაფარდობისა;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია „საერთაშორისო ფინანსები“-ს სასწავლო კურსის სილაბუსში გამოყენებული სავალდებულო ლიტერატურის რაოდენობის ოპტიმიზაცია, საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით;
- სასურველია დაზუსტდეს სასწავლო კურსში „ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები“-ს სილაბუსში სავალდებულო ლიტერატურად მითითებული სახელმძღვანელოს ,,ასათიანი, რ. (2010). ეკონომიკისა და ბიზნესის ლექსიკონი, გამომცემლობა „სიახლე“, თბილისი“, გამოყენების საჭიროება;

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

√ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.3 პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ფინანსების საბაკალავრო პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა წარმოდგენილია 240 კრედიტის მოცულობით. უნივერსიტეტი იყენებს კრედიტების ტრანსფერის ევროპულ სისტემას (ECTS): 1 კრედიტი = 25 საათს, რომელიც ფარავს როგორც საკონტაქტო, ისე სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათებს. ოთხი სემესტრის განმავლობაში სტუდენტები სწავლობენ ბიზნესის ადმინისტრირების საბაზო კურსებს, ხოლო სწავლების მეხუთე სემესტრიდან სტუდენტები სწავლობენ ფინანსების დარგის სასწავლო კურსებს. პროგრამის სტრუქტურა წარმოდგენილია შემდეგი სახით:

- აკადემიური წერა - 5 კრედიტი
- საინფორმაციო ტექნოლოგიები - 5 კრედიტი
- უცხო ენა - 15 კრედიტი
- ბიზნესის ადმინისტრირების საბაზო სავალდებულო საგნები – 75 კრედიტი
- პრაქტიკა/საბაკალავრო ნაშრომი - 10 კრედიტი
- ფინანსების სავალდებული საგნები – 42 კრედიტი
- ფინანსების არჩევითი საგნები – 23 კრედიტი
- დამატებითი სპეციალობა და თავისუფალი კრედიტები – 65 კრედიტი

პროგრამის ფარგლებში, პროგრამით გათვალისწინებული 240 კრედიტიდან სტუდენტს აქვს შესაძლებლობა 65 კრედიტის ფარგლებში აირჩიოს უნივერსიტეტში მოქმედი ნებისმიერი დამატებითი პროგრამა (60 კრედიტი) და/ან აითვისოს თავისუფალი კრედიტების სახით, რომლის ფარგლებშიც იგი უფლებამოსილია აირჩიოს უნივერსიტეტში მოქმედი ნებისმიერი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამიდან მისთვის სასურველი სასწავლო კურს(ებ)ი. პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა ნაწილობრივ უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს ბაკალავრიატის (I) საფეხურის აღმწერის შესაბამისად. ამასთან, პროგრამის ცალკეული კომპონენტების მიმართ გაგვაჩნია კონკრეტული მოსაზრებები: ▪ პროგრამის სტრუქტურაში დამამთავრებელ სემესტრში გათვალისწინებულია პრაქტიკის გავლა, რომელიც მოიცავს 10 კრედიტს და მითითებულია, რომ შესაძლებელია პრაქტიკის შეცვლა საბაკალავრო ნაშრომით. აღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ პრაქტიკის კომპონენტის საბაკალავრო ნაშრომით ჩანაცვლება ან პირიქით არ არის რეკომენდებული, რაც კარგად ჩანს აღნიშნული კომპონენტების სილაბუსებიდანაც, სადაც განსხვავებულია როგორც მათი სწავლების მიზნები, ასევე შედეგებიც. შესაბამისად, უმჯობესი იქნება ორივე კომპონენტი გახდეს პროგრამის სტუდენტებისათვის სავალდებულო; ▪ პროგრამის სტრუქტურაში წარმოდგენილი საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში გაწერილი შეფასების წესის მიხედვით საბაკალავრო ნაშრომი ფასდება ერთჯერადად, რაც არ არის შესაბამისობაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის მე-№3 ბრძანებასთან, ვინაიდან, საბაკალავრო ნაშრომი მიეკუთვნება სასწავლო კომპონენტს და შესაბამისად მისი შეფასებისათვის გამოყენებული უნდა იქნეს შუალედური და დასკვნითი შეფასების ფორმები; ▪ ვინაიდან, პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხი ფინანსებში, შესაბამისად მიზაშეწონილად მიგვაჩნია, პროგრამის არჩევითი დისციპლინების ბლოკიდან სასწავლო კურსი ,,რისკების მართვის საფუძვლები“ და ,,საგადასახადო დაბეგვრის საფუძვლები“ გადავიდეს სავალდებულო დისციპლინების ბლოკში; ▪ ვინაიდან, პროგრამა სწავლების პირველივე სემესტრში ითვალისწინებს „მათემატიკა 1“-ის სწავლებას, რომელიც მოიცავს უმაღლესი მათემატიკის საკითხებსაც, შესაბამისად, უმჯობესი იქნება სტუდენტებისათვის არჩევითი სასწავლო კურსის სახით შეთავაზებული იქნეს პრეკალკულუსის სასწავლო კურსი. ამ კურსით, საჭიროების შემთხვევაში, ისარგებლებენ ის სტუდენტები, რომლებსაც მისაღებ ეროვნულ გამოცდებზე მათემატიკა არ ჩაუბარებიათ ან მათთვის რთულია მათემატიკის სწავლა;
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ფინანსების საბაკალავრო პროგრამა; ▪ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ▪ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან; ▪ ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ▪ https://www.ibsu.edu.ge/ - უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
რეკომენდაციები: ▪ რეკომენდებულია, პროგრამის სტრუქტურაში სავალდებულო კომპონენტებად შეთავაზებული იქნეს პრაქტიკის და საბაკალავრო ნაშრომის კომპონენტები;

- რეკომენდებულია, დაკორექტირდეს საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში გაწერილი შეფასების წესი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3-ე ბრძანების შესაბამისად ანუ შეფასებისათვის გამოყენებული იქნეს შუალედური და დასკვნითი შეფასების ფორმები;
- რეკომენდებულია სტუდენტებისათვის არჩევითი სასწავლო კურსის სახით შეთავაზებული იქნეს პრეკალკულუსის სასწავლო კურსი, რომლითაც საჭიროების შემთხვევაში ისარგებლებენ ის სტუდენტები, რომლებსაც მისაღებ ეროვნულ გამოცდებზე მათემატიკა არ ჩაუბარებიათ ან უჭირით მათემატიკის სწავლა;
- ვინაიდან, პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხი ფინანსებში, შესაბამისად რეკომენდებულია, პროგრამის არჩევითი დისციპლინების ბლოკიდან სასწავლო კურსი ,,რისკების მართვის საფუძვლები“ და ,,საგადასახადო დაბეგვრის საფუძვლები“ გადავიდეს სავალდებულო დისციპლინების ბლოკში;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

√ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.4 პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო (განათლების შემდგომ საფეხურზე) და დასაქმების ბაზარზე

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაში კურსდამთავრებულებს ჩამოუყალიბდებათ სპეციალობისთვის აუცილებელი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები, რაც უზრუნველყოფს მათ კონკურენტუნარაიანობას, როგორც განათლების შემდეგ საფეხურზე, ისე დასაქმების ბაზარზე. პროგრამის სწავლის შედეგები მოიცავს ისეთი თეორიული და პრაქტიკული უნარების გამომუშავებას, რომლებმაც უნდა უზრუნველყოფენ დასაქმებულის მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულება. პროგრამის კურსდამთავრებულები, აგრძელებენ სწავლას უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე, როგორც შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში, ისე სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. კურსდამთავრებულთა მნიშვნელოვანი ნაწილი დასაქმებულია პროფილის მიხედვით და განიცდიან კარიერულ წინსვლას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფინანსების საბაკალავრო პროგრამა;
- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;

- ინტერვიუ ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან;
- ინტერვიუ პროგრამის კურსდამთავრებულებთან;
- ინტერვიუ პოტენციურ დამსაქმებლებთან;
- კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგები;
- https://www.ibsu.edu.ge/ - უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

√ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.5 პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები) მონაწილეობის მექანიზმი შემუშავებულია და ხორციელდება

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დაწესებულებაში შემუშავებულია და მოქმედებს პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის მექანიზმი, კერძოდ პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებაში მონაწილეობა მიიღო მასში ჩართულმა ბიზნესის მართვის ფაკულტეტის აკადემიურმა პერსონალმა, პროგრამის კურსდამთავრებულებმა და პოტენციურმა დამსაქმებლებმა. პროგრამის საბოლოო ვერსია განხილული იქნა ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფინანსების საბაკალავრო პროგრამა;
- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან;
- ინტერვიუ პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- ინტერვიუ პოტენციურ დამსაქმებლებთან;
- https://www.ibsu.edu.ge/ - უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ▪ სასურველია კიდევ უფრო გააქტიურდეს პროგრამის კურსდამთავრებულების და პოტენციური დამსაქმებლების პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართულობის მექანიზმები.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა			√	

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

2.1 პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაკალავრო საგანმანათლებო პროგრამაზე სტუდენტის ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით - ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს. კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ჩარიცხვა შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე. პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა, ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფინანსების საბაკალავრო პროგრამა;
- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან;
- ინტერვიუ პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- https://www.ibsu.edu.ge/ - უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

√ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტების განხორციელება ხდება სწავლა/სწავლების შემდეგი მეთოდების გამოყენებით: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული/ლაბორატორიული მუშაობა, სემინარი, დამოუკიდებელი მუშაობა. აღნიშნული სწავლა/სწავლების მეთოდების განხორციელება ხდება შემდეგი აქტივობების გამოყენებით: პრეზენტაცია (ლექტორის მიერ), დემონსტრირება, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი, სინთეზი, შემთხვევების შესწავლა (case study), გონებრივი იერიში (brain storming), დისკუსია / დებატები, პროექტი, პრეზენტაცია (სტუდენტის / სტუდენტების მიერ), ელექტრონული საშუალებებით სწავლება, ამოცანების ამოხსნა, პრობლემების გადაჭრა, ჯგუფური მუშაობა, წიგნზე მუშაობა.

პროგრამის კომპონენტებში გამოყენებული სწავლების მეთოდები, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული სასწავლო კურსის სპეციფიკას უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ფინანსების საბაკალავრო პროგრამა; ▪ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ▪ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან; ▪ ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ▪ ინტერვიუ პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ▪ https://www.ibsu.edu.ge/ - უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3 პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები მეტწილად ლოგიკური და თანმიმდევრულია. პროგრამის კომპონენტების გავლის თანამიმდევრობა აღწერილია სასწავლო გეგმაში, თუმცა, პროგრამაში შემავალი კომპონენტებზე დაშვების წინაპირობების მიმართ გაგვაჩნია კონკრეტული მოსაზრებები, კერძოდ, რეკომენდებულია პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსს ,,მაკროეკონომიკას“ წინაპირობად განესაზღვროს ,,მიკროეკონომიკის“ სასწავლო კურსი, ,,სტატისტიკის და ალბათობის თეორიის შესავალი“-ს სასწავლო კურსის წინაპირობად უმჯობესია იყოს ,,მათემატიკა 2“, ხოლო ბიზნეს ინგლისური I-ის წინაპირობად საჭიროა განისაზღვროს ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფინანსების საბაკალავრო პროგრამა;
- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;
- ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
